დ ა ს კ ვ ნ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - განკარგულების პროექტის თაობაზე

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის ,,დ.ი.“ ქვეპუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მერის წარდგინებით საკრებულო უფლებამოსილია დამტკიცოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

განკარგულების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

ზემოაღნიშნული განკარგულების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი : *ბექა შენგელია*